28/08/2020

ბაგრატის ტაძარში მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით ლიტურგია მიმდინარეობს

ქუთაისში, ბაგრატის საკათედრო ტაძარში მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით საღმრთო ლიტურგია მიმდინარეობს.

ღვთისმსახურებას ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი მეუფე იოანე სხვა სამღვდელო პირებთან ერთად აღავლენს.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ გაიმართება ლიტანიობა. დღესვე ჯვრით დაჯილდოვდება 28 სასულიერო პირი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 28 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინებას, მარიამობას აღნიშნავს. ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმინდა სამების შემდეგ, ღვთისმშობელი მარიამი იდიდება. უდიდეს თორმეტ დღესასწაულთაგან სამი – ღვთისმშობლის შობა, მიძინება და ყოვლადწმინდა მარიამის ტაძრად მიყვანება უშუალოდ ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

1tv.ge